ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N52

2024 წელი; 25 აპრილი, 15:45 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

არჩილ გორდულაძე (სხდომის თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
დავით ფარცვანია

სხდომის თავმჯდომარე:
არჩილ გორდულაძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ **არჩილ გორდულაძემ** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის **წესრიგით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.**

არჩილ გორდულაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ **მ/წლის 25 აპრილს,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის **„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ლევან აბაშიძის კორესპონდენცია** (N03-0324116108) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 2024 წლის 25 აპრილის სხდომის ოქმი N53, რითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიას ეცნობა აღნიშნული ფრაქციის მიერ, ფრაქციის სხდომაზე მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების შესახებ:**

- ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს **წევრებმა** იმსჯელეს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ და **ერთხმად** დაუჭირეს მხარი:

1. ანა კილაძის გაწევრებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2. ანა კილაძის გაწევრებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, აგრეთვე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობიდან ოთარ გრიგოლიას გაწვევის შესახებ საკითხს;

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობიდან კონსტანტინე ზარნაძის გაწვევის შესახებ საკითხს;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიის შემადგენლობიდან მარიამ ზაქარიაშვილის გაწვევის, ხოლო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიაში გაწევრების საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ **არჩილ გორდულაძემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე გააცნო, **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის** მიერ, მ/წლის 12 აპრილს წარმოდგენილი წერილი (01-01/526), რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეცნობა შემდეგი:

▪ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული წევრის **ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის** თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ/წლის პირველი აპრილის №03-0324092147 წერილის (ცესკოში რეგისტრაციის №431- 02.04.2024) საფუძველზე, **ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები,** მათ, შორის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, მ/წლის 11 აპრილს მიღებულ იქნა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“** №6/2024 განკარგულება, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა ზემოხსენებულ კორესპონდენციასთან ერთად.

არჩილ გორდულაძის განმარტებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მ/წლის 11 აპრილის N6/2024 განკარგულების პირველი მუხლის მიხედვით, **ცნობილ იქნა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გამოკლებული წევრის ლევან ჟორჟოლიანის (პარტიულ სიაში N1) ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ანა კილაძე** (პარტიულ სიაში N21).

კომისიის თავმჯდომარემ **ინფორმაციული თვალსაზისით,** ასევე აღნიშნა, რომ მასალებს შორის, წარმოდგენილია, ანა კილაძის განცხადება, სადაც აღნიშნული პირი თანხმობას აცხადებს გახდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დმოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით.

კომისიის თავმჯდომარემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ზემომითითებული ღონისძიებების გათვალისწინებით, **მ/წლის 25 აპრილიდან,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მ/წლის 11 აპრილის №6/2024 განკარგულების საფუძველზე, **დაიწყო ანა კილაძის, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.**

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მიკუთვნებული უფლებამოსილებების თაობაზე, რომელთა შორისაა, **კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება,** კომისიის თავმჯდომარემ ასევე დასძინა, რომ მითითებული ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში.

კომისიის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28-ე მუხლის 2² პუნქტით განსაზღვრული ღონისძიება, რომლის მიხედვითაც:

▪ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.

მომხსენებელმა ყურადღება ასევე გაამახვილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ[2] პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია ცნობად მიიღოს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ დაცულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის მიერ საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

კომისიამ ერთხმად ასევე აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომისია საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე, საკრებულოს ბიუროს დანართის სახით წარუდგენს წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა განახლებულ პერსონალურ შემადგენლობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობის სახით მიღების მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე — არჩილ გორდულაძე

სხდომის მდივანი — თ. კაკოიშვილი — თამთა კაკოიშვილი